კვირა 29. ენკენისა

ფასი 10 კაპ.

# მათრახი

№ 27.

-სალამური

ყოველ-კვირეული იუმორ. ჟურნალი.

## როგორ განვითარდა ადამიანთა მოძრაობა.



ლითოგრაფია ს. ძიძიგურისა.

პირველ ყოფილნი ადამიანნი მოკლებულნი იყვნენ ბედნიერებას ორ ფეხზე სიარულისა. ისინი, როგორც დღევანდელი პირუტყვნი,

კიდევ

ოთხ ფეხზე დადიოდენ. მხოლოთ ზოგიერთი მათ-განი და ისიც კეტის საშუალებით, თუ შესძლებდენ ხოლმე მცირე ხნით უკანა ფეხებზე შედგომას. სჭამდენ მაშინდელი ადამიანები ბალახ-ბულუხსა და ერთმანეთის ხორცს *).

*) აქ ცხადათ გამოსჭვივის განსხვავება პირველ-ყოფილ ადამიანთა და წულიგან დეპუტატთა შორის, რამეთუ ესენი თავისიანებს არა სჭამენ, არამედ სხვათა მჭამლობას ქადაგობენ.

ეშმაკი.



პირველ-ყოფილ ადამიანთა შორის გამოჩნდენ ისეთები, რომლებმაც ადრევე იგემეს სხვათა ზურგზე ჯდომა და ამ მიზნით მიიჩვიეს ცხენები. იმათ ასე ხშირათ აღარ უხდებოდათ ფეხით და მით უმეტეს ფორთხვით სიარული. ერთ რაზმათ შეკავშირებულნი და შუბებით შეიარაღებულნი ისინი ესხმოდენ უფრო ბეჩავ ადამიანებს და ძარცვავდენ მათ *)

*) ამ საფეხურზე მდგომ ადამიანთა მსგავსება ჯერაც მოიპოვება: ჩვენში დარაჯთა სახით, ხოლო ჩინეთში ეგრეთ წოდებულ ხუნხუზობით. ეშმაკი.



განვითარება ნელის ნაბიჯით, მაგრამ მაინც წინ მიდიოდა. ადამიანთა ერთმა ჯგუფმა მოიგონა ურემი. აქედან მიიღო დასაბამი სანაქებო თვისებამ ადამიანისამ, რომელსაც ეწოდება: „ქედის მოხრა“! ქართველთა მოდგმის განვითარება ამ წერტილზე გაჩერდა. ამიტომაც არის, რომ ყველა ქართული დაწყებულება დანაბ[illegible]ის ურმის ანდაზით აიხსნება. აი ეს სანაქებო ანდაზა: „ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მას უკან გამოჩნდება“ *).

*) საჭიროა შევნიშნოთ, რომ ჩვენი ურემი მუდამ თავდაყირა გდია, მაგრამ გზა ჯერ ბევრ ჩვენგანს არ დაუნახავს. ეშმაკი.

# მოწოდება

**როგორ უნდა გახდეთ მგზავრი ხოლერით.**

თუ ჟურნალ-გაზეთებს დავუჯერებთ, ამ ბოლო დროს ქ. თფილისში ხოლერამ ძლიერ ისუსტა.

რას ნიშნავს ეს?

ოოო! ეს ბევრს რასმე ნიშნავს, დიდს რასმე ნიშნავს!!!

ეს, იმასა ნიშნავს, რომ თუ მართლა მოისპო ეს ჩვენი ქუჩების მფარველი, მოისპო შიში წინაშე მისი მრისხანებისა, პატივცემულნი მამანი და სანიტარნი ქალაქისანი ჩვეულებრივს ღრმა ძილს მიეცემიან და ქალაქი ისევ სიბინძურით აივსება.

ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლათ, ჩვენი რედაქცია პირდაპირ ევედრება (УМОЛЯЕТЪ) მოქალაქეებს იხელმძღვანელონ ამ ჩვენი დარიგებით და არ მისცენ საშუალება ჩაქრეს ეგ ძვირფასი სენი, ეგ საფრთხობელა სიბინძურეს ნაჩვევ სანიტარებისა. ამ დარიგების ასრულებით თქვენ ძლიერ ადვილათ შეიძენთ ხოლერას და მით დაუფასებელ ღვაწლს დასდებთ ქალაქის გასუფთავების საქმეს.

**1)** სვით მხოლოდ მტკვრის წყალი და ისიც მუხრანის ხიდის ქვემოდ ამონაღები.

**2)** სვით აგრეთვე მჟავე „კვასები“ და თფილისის ვენახების ღვინოები.*)

**3)** სჭამეთ უხვათ და გაუსუფთავებლათ (ან მტკვრის წყალ მონასხური) სხვა და სხვა მობველებული ხილეულობა: მსხალი, ვაშლი, ატამი, ყურძენი და სხ.

**4)** ქმალეთ აგრეთვე სხვა და სხვა სარდაფებსა და სასადილოებში მოდუღებულ საჭმელებს, მხოლოთ იმ პირობით, რომ ისინი ჩვეულებრივ მველ სანოვაგეთაგან და ბინძურ სამზარეულოებში მზადდებოდეს.

**5)** სასურველი ნიშნების შემდეგ მიმართეთ უბნის ექიმს ნ. დ. ხატისოვს, რადგან ის ან ყურადღებას არ მოგაქცევთ, ან არა და ხოლერას სურდოთ მიიღებს.

**6)** თუ მოცლა გაქვთ იკითხეთ „გოლოს კავკაზა“, „თფილისის ფურცელი“, „ნოვაია რეჩი“, „კავკაზი“ და „ზაკავკაზიე“, ხოლო ვინც რუსული არ იცის, იმან ბ-ნი იოსებ იმედაშვილის „თეატრი და ცხოვრება“. ამ მოხერხებით ადვილათ გამოიწვევთ გულის რევას, რაიცა ხელს უწყობს ჩვენ მიერ დასახული მიზნის მიღწევას.

**7)** ახლო მომავალში დაიწყება ქართული წარმოდგენები; ვურჩევთ საზოგადოებას იმასაც დაესწრას.

ბევრი, ძლიერ ბევრი რამ გვქონდა სათქმელი და სარჩევი ძვირფასი მკითხველებისათვის, მაგრამ ყველაფერს აბა ვინ ჩამოსთვლის? მიზნის მისაღწევათ ამ შვიდი მუხლის ასრულებაც სრულიად საკმარისია და მუხლ-მოდრეკით ვევედრებით თფილისის საზოგადოებას პირ-წმინდათ აასრულოს იგი.

ამას მოითხოვს გიგიენა!

ამას მოითხოვს ქალაქის სისუფთავე!

ამას მოითხოვს მოქალაქობრივი გაბედულება!

რედაქციის მონდობილობით **ეშმაკი**.

*) თუ ამანაც არ გასჭრას, იმ შემთხვევაში იხმარეთ ქალაქის მილებიდან გამოყვანილი წყალი.

ეშმაკი.

# ღია წერილი.

«მათრახისათვის» მედგრათ მშრომელნო,
მოთმინებითა განუზომელნო,
პროვინციაში სხედხართ რომელნო
ძვირფასნო ჩვენო თანამშრომელნო!

რაკი ჯანსაღათ დამეგულებით
წერილს გწერთ ამა განზრახულებით:
მთელი ზაფხული
ეშმაკს ეძინა
შეხედა ღმერთმა, და გაეცინა.
განა არ იყო გასაცინარი?
მაშ ამ სიცხეში, ისიც მძინარი,
რა ჰქონდა ეშმაკს გასაჩერები,
არავინ ყავდა მოსაგერები?

რა ბრძანებაა! ამ ზაფხულში უფრო საჭირო იყო ჯოჯოხეთის სიფხიზლე, მეტი მოთხოვნილება ჰქონდა მათრახსა ეშმაკისასა, უფრო თავალებულნი დადიოდენ გვამნი სამათრახენი.

აი, თუ არა გჯერათ მოისმინეთ:

ა) ეშმაკები რომ ფხიზლათ ყოფილიყვენ, იაპონიის მთავრობა განა მოახდენდა კორეის ანექსიას? რასაკვირველია ვერა.

ბ) რომ ჯოჯოხეთურ ძალას თავისი მოვალეობა არ დაეიწყებოდა, განა ასეთი განხეთქილება მოხდებოდა ვატიკანსა და ისპანიის მთავრობის შორის? რა თქმა უნდა, არა.

გ) ძილმა წაახდინა საქმე, თორემ განა ჩერნოგორიის თავადი „კაროლობას“ დასჯერდებოდა და იმპერატორობას არ მიიღებდა?
უეჭველია მიიღებდა.

დ) ჩვენს მოვალეობას არ მივაქციეთ ჯეროვანი ყურადღება, თორემ განა ჩინეთში კონსტიტუცია არ გვექნებოდა?

ცხადია გვექნებოდა.

ამიტომაც უმორჩილესად მთხოვნელი ვართ დღეიდან მაინც პირნათლად მოეპყრათ თქვენს წმინდა საქმეს და მსოფლიო ისტორიის მიმდინარეობაში ასეთი შეცდომები არ დაუშვათ.

შემოიკრიბეთ ძალნი, ახსენეთ სახელი... ჯოჯოხეთისა და განაგრძეთ თქვენი დაუღალავი შრომა.

სწერეთ, სწერეთ, მაგრამ ლექსები კი არა... ოჰ, რომ იცოდეთ რამდენ სატანჯველს გვაყენებენ ხოლმე ზოგიერთი „პოეტები“! ჩვენ იმათი დიდი უმადური ვართ.

მაშ ეგრე! ველი თქვენს დახმარებას.

თანაც სისწორორეს და დაჩქარებას.

თქვენი პატივის მცემელი **ეშმაკი.**

---

## ს ი ზ მ ა რ ი.

წყნარი ნიავი სატრფოსავით ყელს მეხვეოდა,
ფოთოლთ შრიალი შეუდაროს მიმღერდა ნანას,
ცა იცინოდა, ვარსკვლავები მიწვდიდენ ხელსა
და მეტს არაფერს არა ვთხოვდი მეც ცა-ქვეყანას!
სასაფლაოზე ძლევის დროშა ხელში მეჭირა,
მეგობრის აჩრდილს ვულოცავდი ბრძოლის მოგებას,
დაწყვეტილ ბორკილს მუნ ჯალათის
ცრემლი სდიოდა,
მთვარე სწყევლიდა იმის ქვითინს, ხმის ამოღებას!
სატრფო ამაყი, მომხიბლავი მე მიდგა წინა,
სულის მშვიდობა დამიბრუნა, ჩემი ღვთაება,
ერთათ ვიბრძოდით, გამარჯვება ერთი
გვხვდა წილად,
ტურფა გვირგვინათ ხელთ ავიღეთ ჩვენ უკვდავება!
სათაიგულე ყვავილები ბაღში შვენოდენ,
მათ სურნელებას ახლოს მიმდგარს მფენდა ნიავი,
ზღვისა სივრცეზე ტალღათ სრბოლა
თვალს იტაცებდა,
იქ გავეშურე და ვიხილე ჩემთვისაც ნავი!
სურვილთა გროვამ გზა განლია, ედემს ეწვია,
იმის კალთაში გადაჰკოცნა თავშესაფარი,
ლხენით აღსავსეს ხმა მომესმა ჩამოჰკრეს ზარი,
და ვაჰ... იქ ვიგრძენ ჩვემი შვება იყო სიზმარი...

**რ. ლეჩხუმელი.**

---

# არ დაიჯეროთ!

**ვისზე როგორ იმოქმედა ვ. გუნიას გარდაცვალებამ.**

**(მიბაძვა იოსებ იმედაშვილისა.** ,,თეატრი და ცხოვრება‘‘)

საზარელი ამბავი ვ. გუნიას გარდაცვალებისა საზარელი მეხივით გავარდა საქართველოს თავზე...

პირველად პართენ გოთუაშ აცნობა ვ. გუნიას ბინაზე მყოფ მგოსან გრიშაშვილს ვალიკოს გარდაცვალების საზარელი ამბის გავარდნა.

**ი. გრიშაშვილი** ობოლი ბულბულივით ყრუდ აცრემლდა... და მიბნედილი თვალები წარმოსთქვა: გ—ე—ნ—ა—ც—ვ—ა—ლ—ე!.

**მიხეილ ლობჟანიძემ** ეს ამბავი ეტლში გაიგო და გულდაწყვეტილი ჩამოხტა ძირს, .. თვალებიც აუთამაშდა, მაგრამ ვერაფერი სთქვა...

**კოტე მესხის** საზარელი ამბავი იოსებ იმედაშვილმა აცნობა... სიმწრით გამტკნარდა და ტუჩების თამაშით ძლივს წარმოსთქვა: მაშ ესეც უნდა დავმარხოთ!!. გაოგნდა!..

**ა. პ. შიხინოვს** თურმე კოტე მესხი გადაეყარა, (რომელსაც ეს ამბავი იოსებ იმედაშვილმა აცნობა) მსახიობმა თითქო ვერ გაიგო ეს ამბავი... და იკითხა: რაო? რაო? რაო? მაგრამ როცა კოტე მესხიმ განუმეორა იოსებ იმედაშვილისაგან გაგებული ამბავი, მაშინ კი წარმოსთქვა მდუღარე კილოთი: ,,ვალერიან აღარ გვყავს!‘‘ და შეძრწუნდა იგი...

**დრამატიულ საზოგადოების გამგეობას** მესხისაგან გაგებული სამწუხარო ამბავი ა. შიხინოვმა გადასცა, თუმცა კოტე მესხს იოსებ იმედაშვილმა, გააგებია. გამგეობა დასიცხულსავით გაშეშდა! საზარელი იყო მისი (გამგეობის) სახის გამომეტყველება და ფეხზე ადგომით პატივი სცა თავისი ბურჯის ხსოვნის მოგონებას...

**დრამატიული დასი**, წინააღმდეგ ჩვეულებისა, პიესის წასაკითხავათ შეკრებილიყო და გუნიას მოსვლას ელოდა. სკამები მზათ ედგათ დასაჯდომათ მომზადებული, როცა საზარელი ამბავი მეხივით შეიჭრა ოთახში და ყველას კრიჭები შეუკრა, თითქო იალბუზის წვერზე მსხდარიყვენ. კრიჭა შეკრულ სკამებს თითქო ჟრუანტელის ქარცეცხლმაც დაუარაო... წარმოსთქვეს: ,,დღეს დაიმარხა ქართული დრამატიული ხელოვნება‘‘ და აქვითინდენ... მსახიობ იმანიძეს მხოლოდ ორი ობოლი ცრემლი მოსწყდა თვალთაგან და შუბლზე ჩამოგორდა

**ა. სარაჯიშვილს** დიდხანს არ უნდოდა ამ ამბის დაჯერება. თითქო არ უნდა ვისიმე ლაპარაკი გაიგონოსო. მან ცის კიდურისაკენ დაიწყო ცქერა. და თვალდაუხამხამებლად ვერ შეურიგდა ამ ამბავს. მას მოაგონდა გაზ. ,,ნიშადური‘‘ და კინაღამ ცრემლები მოადგა...

**ლუარ. ბოცვაძემ,** რომელიც ქ. შ წ. გ. საზოგადოების მდივნის სავარძელში იჯდა და ჟურ. ,,განათლების‘‘ კორექტურას ასწორებდა, წელი ძლივს აიღო. თვალებს აქეთ იქით დაუწყო ცეცება, თითქო რაღაცას დაეძებს და უნდა თვალი მოჰკრას ჟურნალის ქვესკნელში ჩამქრალ კორექტურულ შეცდომას ჩვენი თეატრის ცხოვრებისასო. .

**ვასო აბაშიძე** ჩვეულებისამებრ არ დასწრებოდა ახალი პიესის კითხვას და ეს საზარელი ამბავი გოლოვინის პროსპექტზე გაიგო. მდუმარებს: თი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქო თავი გაუტეხესო და ამბობს: ჰმ! ჰმ! ჰმ! მის **სახეზე** გამოხატული კომიზმური გამომეტყველება თითქო დრამატიზმურულათ შეიცვალა და სდუმს.

**ა. ქმლანთარმა** ვალიკოს დაკარგვა ,,მშაკის'' რედაქციაში გაიგო, როცა ის ახალი სადღვებელის შესახებ მოწინავესა სწერდა. ის ოდნავ სავარძელში მიეშვა, ოდნავ ამოიოხრა და ოდნავ გასაგონი ხმით წარმოსთქვა: ,,ჟამანაკ! ჟამანაკ! ეს ინჩეს ჟამანაკ''!..

**ი. მარკოზოვმა,** „მშაკის" მეორე რედაქტორმა დასიცხულივით წამოიძახა: ოჰ სიკვდილო, სიკვდილო! ბაიც, ინჩპესი ბარეკამ კორცრეც ჰაიოც ჟოღოურთ! რა მეგობარი მოსტაცე სომეხთა ტომს! და თვალცრემლიანი ,,არტემიუსს'' გადაეხვია...

**ნიკო ლორთქიფანიძემ** ეს ამბავი სადილის დროს გაიგო... ჩანგალზე წამოცმული კატლეტი ხელში გაუშეშდა, თუმცა პირი უზომოთ დაღებული ჰქონდა. წარმოსთქვა: ცივი ყინული... სდუმს... ქნარი...

**იოსებ იმედაშვილმა** ,,თეატრისა და ცხოვრების'' სარედაქციო სავარძელში მჯდომარემ გაიგო ეს საზარელი ამბავი. წამოიწია .. ყრუ ხმა გამოსცა.. სული გაკმინდა... მცირე ხნის შემდეგ წაილაპარაკა: ,,მოკვდა ქართული თეატრის ორიგინალური დრამატურგი!.. ის აღარ არის!''.. სავარძელში კვალად გასწორდა. მცირე ხნის შეძდეგ ისევ წამოვარდა დასიცხულივით და წარმოსთქვა: ,,თუ დასაფლავების დღეს ჩემი ჟურნალის მეორე გამოცემა დარჩა საჭირო, მაშინ გვირგვინის ნაცვლად, ორ ნომერს უთუოდ გავუგზავნი რომელიმე ღარიბ სამკითხველოს. გაიგნდა.

**ტრ. რამიშვილს** თმები ყალხზე აღუდგენ და დასიცხულივით წამოიძახა: Нѣтъ! Нѣтъ! Это невозможно! თვალიც აუჭრელდა.

**დოქ. რ—ლმა** ამ საზარელი ამბვის შესახებ წარმოსთქვა: Когда мнѣ объ этомъ доложили, я былъ пораженъ и сказалъ: не вѣрю!

**ბ. ეშმაკს** დიდხანს არ სჯეროდა ეს საზარელი ამბავი... თითქო გულის ერთი ძაფთაგანი ჩაუწყვიტესო... თითქო აღარც მზის სხივი ეპრიანებაო... თითქო ცხოვრების ხალისი დაეკარგაო.. წარმოსთქვა: ,,აწ განუტევე მეუფეო მონა შენი...

**ყარყუმი.**

---

## უკანასკნელი ბრძოლა.

**ადექსი კოლცოვის.**

ქარი თავზე დამღმუოდა,
მეხი ცაზე ბობოქრობდა,
სიცივე სულს მითოშავდა,
სუსტ გონებას ის აჟრთხობდა.
მაგრამ ტანჯვათ არ შევუდრკი,
ზედმოსევა განვიწონე,
შევირჩინე სულში ნდომა,
გულში ჟინი, ტანში ღონე!
მოსახდენი უნდა მოხდეს,
რაა ხსნა? ან ტანჯვა მწარე?
წმინდა რწმენას, განგებასა
ამიერით დავემყარე.
იქვი არ სცვლის ამა რწმენას,
მით სიცოცხლე გამემქვალა.
უსაზღვროა მასში ლტოლვა!..
განსვენების ტკბილი ძალა...
ბედო, ბრძოლათ ნუღარ მიწვევ,
ტანჯვით ნუღარ მემუქრები:
მზათ ვარ შენთან საბრძოლველათ,
და ვერაფერს ვერ გახდები!
მე სულს ძალა მიცხოველებს,
სისხლი მიდგას, მიძგერს გული,
ჯვარს ქვეშ—ჩემი საფლავია,
ჯვარზე—ჩემი სიყვარული,

**იასამანი.**

---

# მოქალაქის მოვალეობა.

(,,სატირიკონიდან'' გადმოღებული).

,,თუ კი ახსოვთ მკითხველებს, ,,სატირიკონის'' 32 ნომერში მოთავსებული იყო გაზ. ,,რეჩი"-დან და ,,გოლ. რუს''-დან გადმოწერილი ცნობები შესახებ მამა ვოსტორგოვის ცხოვრებისა.

ეს ისეთი შინაარსის ცნობებია, რომ ან მამა ვოსტორგოვმა უნდა იგრძნოს თავი შეურაცხყოფილათ და უჩივლოს აღნიშნულ გაზეთებს ცილისწამებისათვის, (თუმცა ეს აგერ ამდენი ხანი გადის და არ მოუმოქმედებია) ან სამოსამართლო უწყებამ მიაქციოს ყურადღება და დაატყვევოს მღვდ. ვოსტორგოვი, რათა ის არ გაექცეს მართლ-მსაჯულებას და არ დაიმალოს.

თანახმად რუსეთის კანონებისა, ყოველი მოქალაქე, რომელმაც იცის ვინაობა რაიმე დანაშაულობის ჩამდენისა, **ვალდებულია** ყოველივე ამის შესახებ აცნობოს მთავრობას. წინააღმდეგ შემთხვევაში ის, იმავე კანონების მიხედვით, ისჯება, როგორც დამნაშავის ხელის დამფარებელი.

ამ მოსაზრებით, ჩვენ, როგორც რუსეთის მოქალაქენი, ვაუწყებთ სამოსამართლო უწყებას ყოველივეს, რაც ვიცით ცნობილი მღვდლის მამა ვოსტორგოვის შესახებ..

და აი ჩვენ რა ვიცით:

**,,გაზეთი ,,გოლოს რუსსკაგო'' (№ 25—26) გადმოგვცემს, რომ ქ. თფილისში, ქალთა გიმნაზიაში სადმრთო სჯულის მასწავლებლად ყოფნის დროს, ის რჩეხიდა მოსწავლე ქალებს სიყვარულსა და მრუშობაზე მუდმივი, განუწყვეტელი ბაასით, რის შემდეგ-მ იჭერდა მათ**

**თან, მოსწავლე ქალებთან, უზნეო კავშირს და მიჰყავდა ისინი გახრწნილებამდე.**

**აი სია მამა ვოსტორგოვის მსხვერპლთა. მოსწავლე ქალები:**

1) **ანტონინა რუბინოვსკაია—შკოლიდან შეიშალა.**

2) **ევგენია გრიგორიევა—შკოლიდან შესცდა და გარდაიცვალა.**

3) **ვერა კუდიკოვსკაია,—თავი მოიკლა.**

4) **გორბუნკოვა,—თავი ჩამოიხრჩო.**

5) **რომანჩენკო, ცხომელიძე და მიხაილოვა,—ფანჯრებიდან გადმოცვივდნენ და სასიკვდილოთ დაშავდნენ“.**

ამ სიის სისრულეს, რასაკვირველია ბევრი აკლია.

მთავრობის მოხელეთა საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ მამა ვოსტორგოვი ამ ჟამად იმყოფება ქ. ირკუტსკში მისიონერთა სიეზდზე, საიდანაც მისი წამოყვანა ადვილია.

გარდა ამისა, ყოველ შემთხვევისათვის ,,სატირიკონის‘‘ ამ ნომერს ვუგზავნით რამოდენიმე გავლენიან პირს სამოსამართლო უწყებისას, რათა გულდამშვიდებით ვიყოთ, რომ ჩვენი შენიშვნა წაკითხულია ვისგანაც ჯერ არს და გულდამშვიდებით ვართ, რადგან ჩვენი მოქალაქობრივი მოვალეობა შესრულებულად მიგვაჩნია.

შედეგს ჩვენი მოქმედებისას დაუყოვნებლივ ვაცნობებთ ჩვენს მკითხველებს, რომლებიც, ალბათ, დიდის მოუთმენლობით მოელიან მამა ვოსტორგოვის მიერ თფილისში ჩადენილ დანაშაულობათა გამომჟღავნებას.

**ჟურნალისტი“.**

P. S. ,,მათრახ-სალამურის‘‘ რედაქციაც ეცდება მიაწოდოს ,,სატირიკონის‘‘ მიერ მოპოებული ცნობები თავისს მკითხველებს.

---

## მიმოვონების ზეირთთა დუდუნი.

1

შვების სიმღერა არეს ატკბობდა,
სიამით ყეფდა წალკოტს ბულბული...
კესანე სოსანს ვნებით ეკვროდა,
შროშანს ჩაწნოდა მკერდში სუმბული...
ნაკადი ველებს ჩაჟღურტულებდა,
ტუჩს უკოცნიდა მზე გარემოსა,
სხივთ ნაგვირისტით კაბით და თექით
ველი, მთა-ბარი გადაემოსა.
ბედნიერება ქნარს აჟღერებდა,
შორს ინთქებოდა ჰანგი დიადი...
ტანჯულთ იმედი ტახტს დგამდა ქვეყნად
ითრგუნებოდა ბნელი, წყვდიადი...
და მხოლოთ დარჩა ეს მოგონება,
აზრი და გული მას ემონება...

2

შუბლს სევდას კლავდა... მელიმებოდა..
გულს ეფონოდა მისი სიმღერა.
მე მასი ვიყავ... მას ჩემა[illegible]
თურმე კი მცდიდა თმა წაბლ გიშერა...
დაწყლულებულ გულს ეაიაზმა,
ხმა გრძნობით სავსე ბევრჯელ მასმინა...
მითრთოდა გული, მდევათ მაქცია...
შორს ამაფრინა, მანეტარ-ლხინა...
მე ავათ ვიყავ... სასთუმალს მიჯდა...
სნეულს გამითბო მან სარეცელი,
შუბლს გადაცვარულს სიმწუხრის ოფლით
ზრუნვით მოავლო მან ბროლის ხელი..
და მხოლოდ დარჩა ეს მოგონება...
სული და გული მას ემონება...

3

ბორკილს ამსხვრევდა... ციხეს ანგრევდა
ქვეყნის პატრონი მაჯა მაშვრალი,
კიდითგან კიდემ ააპრიალა
შურის ძიების მგზნებარე ალი..
უფსკრულმა პირი ვეშაპებრ აღო,
მსწრაფლ განემზადა ბოროტს სამარე,
ეთიშებოდა წყეულის სხეულს
სული საზარი, სიცოცხლე მწარე...
ბნელ საკანს სპობდა, ხუნდებს ამსხვრევდა
ქვეყნის პატრონი მაჯა მაშვრალი..
დროშა აღმართა მან სიყვარულის
ააგიზგიზა გრძნობისა ალი...
და მხოლოთ დარჩა ეს მოგონება...
აზრი და გული მასე მონება...

4

თრთოდა, ფრინავდა... ვერ დაეოკა
აზრი ცხოველი, გრძნობა დიადი...
მნათობი იყო... ტურფა... მშვენება...
თვით განთიადი... თვით განთიადი...
სალ კლდეს არყევდა, ზღვას აღელვებდა,
გრძნობა უშრეტი, ტურფა, ლომ-გული,
შუბლს აღებექდა აზრი დიადი
და ტახტს დაესვა თვით სიყვარული..
მეგონა ჩემთან პოვებდა საფლავს,
მეგონა ჩემს ღმერთს ემონებოდა,
გამარჯვებული მტერთან ბრძოლაში
აღტაცებული მეკონებოდა...
და მხოლოთ დარჩა ეს მოგონება...
სული და გული მას ემონება...

**ვ. მალაქიაშვილი.**

---

# გურული სცენა.

**კოსტანდილაის ჩივილი.**

ჰეი, ჰეი, პაპა, პაპა, ისე წევიდა, ძმავ, საქმე, რომ ანჯახზეა დამაგრება! დედავ, დედავ, რა დროი მევიდა, რა დროი!! გეიხედავ და მიგაქ ლლიტინლლიტინი ამ ქურცალ ტყეში, გამოლლეტ საცხა ორ ჯარგვალას, შეკრავ, წააწინწილებ, ამ საკუპ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რია პალიასტომს გადააშლიჭინებ და მიადგები ფოთელებს კარზე. მოგადგება იგიც მოცლითაი და დაგიწყებს ყაშმიერობას. მანათათ თუ ღირს ლოპეს გიზამს ორ აბაზათ. მიბრუნდები და მეკამეჩე, ტყის პატრონი, ტყის მცველები შეგაფცქვნიან შეგაქლიბვენ. გადაგრჩება რაცხა ჩემი ბატონი ხარ ორი გროშ-კაპეიკი, მოჩლახუნობ, მოხვალ შინ ქალი ბალანაი ერთათ ყველაყაი მოგაცივიან, მოგაფართქალდებიან: ბოშო კოსტანდილავ, ბაბავ კოსანავ, აგერ ტბილი წყალი, აგერ ვახშამი, აგერ ტკბილი სიტყვა, თფილი ლოგინი, პომპოლიკის ცხოვრება მაქ სხვაი რაი!

მარა გათენდება და შენი დუშმანისას იმისთანაი! ვის ახსოვს ხუცის დრამა, პოლიციის ედენიკა, დუქნის ნახარჯი! მარჯვნით მაკინაი, მარცხნით მაგდანაი, უკან ნაბარები, წინამ ქალბატონი, იქით ლუბაიეი, აქით გლუბაიეი და კიდევ ათასი, ჩამოგითვლიან ჩამოგიკაკალებენ: კაბებიო, ბატინკებიო, ბანტები და პარაშუკები, პუდრები და პრიჩოსკები, მავთულები, მოდისკები, ვეჩერები ტანციები, ცირკები და ტრიატები, ბახმარო და კავალრები, სკვარამი და ჯანაბები! არა, ათასჯერ ვიფიქრე: დავკრავ ფეხს და გადავშპები ქიშკარზე მეთქი, მარა აბა, ვისას შევშპე? ჩემსას თუ კოვზითაა, სხვისას გობითაა. ნეტაი მაცოდინა: ყოლიფერს რომ დევეთხუო, ამდენი უცნაური სახელები სად კურმუხეთში დეიზეპირეს, სიდოური ღემნაზია-უნივერსედში ვაჯალადირე აგენი? არა, არა, ყოლიფერი დრ ომა მეიტანა და მასთან კიდო იმ თავ ბურდღიანი ციცეების ბრალიც ქია ჩვენი ციცეების გადარივა. უსტავლია ჩორთი მორთი, მუულლეტიან კისერზე ნატურალსავით, დუუშიშტიქინებიან კლავები და განათლებაო და ატვეჩაი კოსტანდილავ თუ გული გაქ.

**შხანკოლო.**

# შარადა

კოლომ სთქვა: საეშმაკოზე
ცა შავად დალრუბლულაო . .
(ორი თვე არის ეშმაკი
საცალა დალუპულაო)
ვაგდივარ დალონებული,
მუქთად, უსაქმოდ ტყულაო,
მაწუხებს ჩვენი „მათრახი“
რომ აღარ გამოსულაო,
ნეტა რა მოხდა ეგეთი?
ამაზე ვფიქრობ სულაო.

შემდგომად ამა გოდების
კვირე არ გამოსულაო,
გავიგე: სული ბოროტი
მთებიდან ჩამოსულაო,
მოუტანია მათრახი,
თითონაც გაბასრულაო
ფიქრობს აიღოს დანაკლი,
(თუ მართლაც შეასრულაო!..)
მეც დავამზადე შარადა,
შარადა ჩიქორთულაო,
მაგრამ: „ეგეთი აჯობებს
არარაობას სულაო“.

—

სახულიგანო ფნრია,
რუსეთში განახშირები,
ერთგულათ იმოსებიან
წარჩინებული პირები,
აგრეთვე „მოქალაქენი“
არაყში ჩანაძირები,
რეაქციისა საქებრად
რო დაულიათ პირები.
მეორე სიტყვის, რაჭველებს
უყვართ სიუხვით ხმარება,
თუმცა ლა იმა სიტყვაში
აზრი არ დაიარება,
უბრალო რალაც კილოა,
(ბოლ ოზე დაეტარება)
მოკლეა... მისი გამოთქმა
არავის დაეზარება.
მესამე სიტყვა, ჟურნალის
შეადგენს სახელ-წოდებას,
(თანახმად რედაქტორისა
ნაჩვევი მიდებ-მოდებას).
ქართველი ხალხის შესახებ
იქმოდა მოთქმა-გოდებას
მკითხველთა შორის იგულვებს
უმეტეს ,,ზუბრთა'' წოდებას.
მას ჟურნალს „სანაქებოსა“
თავი არ შეეფერება,
რამეთუ უაზრობითა
უზომოდ განიბერება,
ბეჭდავს ვისგანაც ქალალდზე
რაიმე დაიწერება...
მაშ ასო, წინა მდებარე
მას ნულა მიეკერება.
ახლა შეჰკარით სამივე
სიმწრითა მონახულები .
ორიოდ სიტვვა გამოვა
ადესას დანაგულები...
ვისაც მან კლანჭი გამოჰკრას
გეგონოსთ დაკარგულები...
ვერც პროტექცია უშველის,
ვეღარც საქრთამო ფულები!..
შავ სუდარაში გაახვევს
შავად ფერ გადანალებსა
დიდს და პატარას არ არჩევს,
არც ნოქრებს, არცა ალებსა
სამარის კარებს, სისწრაფით
განუზომელით ალებსა...
დღეს ბათუმშიაც ელიან
ზღვის გალმა განალალებსა.

რომ ქკუის ძალა არ დარჩეს
აქ მეტათ განაწვალები,
ვიტყვი რომ საშარადოსა
აზიური აქვს თვალები...
ის ტოლმაჩევი არ არის
(იმას კი ვენაცვალები!)
თუმცა და, მსხვერპლი იმასაც
ჰყავს ძნიად დასათვალები.
თუ ახლაც ველარ დახსენი,
უთუოდ შემებრალები.

კოლ.

# გველი და გლეხი

(გაგონილი იგავი)

დილა ადრე, ერთ სოფლელ გლეხს,
გადმოედო თოხი მხარზე
და ყანაში მიდიოდა,
სახით, დაღვრემილით ძალზე.
ნახა, ცეცხლი მოდსებოდა
ხეს, მახლობლად მდგარსა გზაზე
და, ხის წვერზე მომწყვდეულ გველს,
შიშის ზარსა სცემდა თავზე.
საცოდავმა იცოდა, რომ
უეჭველად დაიწოდა
და, შიშისგან გულ წასულსა,
რაღა ექმნა არ იცოდა!..
მარა ამ დროს თვალი მოჰკრა
გლეხს სოფლიდან მომავალსა
და შესძახა: ,,მიშველეო,
სამუდამოდ დამდებ ვალსა!..''
შეეცოდა გლეხსა გველი,
მიაწოდა თოხი ჩქარა,
ძირს ჩამოსვა უვნებელათ
და მით გული გაუხარა.
გველმა მადლი გადუხადა:
—,,გმადლობ ჩემო ძმიაო,
ვინძლო იქნებ შენც დაგიდგეს
გასაჭირის ჟამიაო,
მაშინ, ჩემო მეგობარო,
იქვე შენთან გავჩნდებიო''
და იმ დროს-კი, დამერწმუნე,
რომ მეც გამოგადგებიო!
გლეხმა უთხრა:—,,კარგი ძმაო,
რაკი ასე გწადიაო,
რა თქმა უნდა მეგობრობას
მეც გაგიწევ ცხადიაო!''
გადასწყვიტეს რაკი ასე,
ახლად დამეგობრებულნი
გზას გაუდგნენ, მომავალზე
მტკიცეთ დაიმედებულნი:
რომ ისინი არასოდეს
არ გასწირავენ ერთმანეთსა,
და თანაბრად გაიყოფენ
ჭირისა და ლხინის დღესა..
მარა დახეთ, გველსა წყეულს!..
დიდი დროც-კი არა გასულა,
რომ შესცვალა თვისი თქმული
გლეხს საკბენათ მიაშურა.
გლეხი შეკრთა, გაუკვირდა,
როცა გველი ასე ნახა
და რაც ძალი-ღონე ჰქონდა:
,,რას შვრებიო?'' მიაძახა!
,,ნუ თუ უკვე დაგავიწყდა
ცეცხლში რომ იწოდბოდიო,
შეგიცოდე, ძირს ჩამოგსვი,
სიამით ცას წვდებოდიო?
— არა, არ დამვიწყებია,
რაც სიკეთე მიყავიო
და მაშინ რაც მოგახსენე,
იმავ აზრის ვიყავიო.
და მართლათაც პატივი გცე
ჩემი რიგი-წესიაო,
მარა რა ვქნა;—,,ჩვეულება
რჯულზე უმტკიცესიაო''
— მერე აქ შენ როგორ ფიქრობ,
როს ღალატობ მეგობარსო,
ამ საზიზღარ საქმიათვის,
რას უწოდებ თავის თავსო?
— რას ვუწოდებ? გველს ვუწოდებ,
საქმეც არის გველურიო
და ვერავინ გამიმტყუნებს,
თუ არ ბრიყვი, ველურიო!..
— კარგი ძმაო,—უთხრა გლეხმა,—
რაკი ასე არის ესო,
ერთ რამეს გთხოვ, ამისრულე
უგუნურს და ჭკუა თხელსო:
გამომყევი სამართალში,
საქმე ვკითხოთ ვინმე ბრძენსო
და თუ გავხდე მსხვერპლად შენდა,
რაც გსურს ჰქენი,—მადლი ღმერთსო!!.
დაეთანხმა გველი გლეხსა
და წავიდნენ სამართალზე;
სხვა რომ ვერავინ იპოვეს,
ნახეს მუხა, მდგარი გზაზე.
ვებერთელა, თითქოს წვერით
მიბჯენილი იყო ცაზე,
მოხუცებაც ეტყობოდა,
ცალი მხრისკენ წახრილს განზე.
გლეხმა მუხას მოახსენა:
— ჩემო დიდო ხელმწიფეო!
ასე იყო ეს ამბავი,
რითაც სიკვდილს ველი მეო.
ამისათვის შენთან მოველ,

შენი სიბრძნის ჭირიმეო,
მტყუანი ვარ—-გამამტყუნე,
სიმართლეს ნუ წამართმეო!..
მუხამ უთხრა: ,,შემომხედე,
დიდი ხნის ვარ მოხუციო
და თუ ისმენ, გეტყვი იმას,
რაც ვცადე და რაც ვიციო.
გადაავლე თვალი მინდორს,
ხეს ვერ ნახავ აქ ჩემს მეტსო,
ერთი მგზავრიც არ ამცდება,
ყველა ჩემ ქვეშ ისვენებსო
მით უმეტეს მაშინ, როცა
მზე სწვავს სიცხით ქვეყანასო,
საღამომდის იძინებენ,
ინახავენ გრილად თავსო,
მერმე, როცა ადგებიან,
სულაც არ მიმადლიანო,
მიმამტვრევენ მწვანე ტოტებს
უმადურათ წავლიანო ..
ვის უქნია კარგისათვის
კარგი, ჩემო ბიძიაო?
და შენც შენ ბედს დამორჩილდი
რაკი ამ დღემ გიწიაო!

მუხის თქმული, განაჩენი
გველს მოეწონ-გაეხარდა,
თაყვანი სცა მოსამართლეს
და საკბენათ მოემზადა...
მარა გლეხმა შეაჩერა,
უთხრა: ,,ჩემო მეგობარო,
ვიცი შენ შხამს ვერ ავცდები
და კიდევაც შენი ვარო,
მარა კიდევ გევედრები,
რომ ვიჯერო გლახ გულიო,
დრო მომეცი, იქნებ ვპოვო
უკეთესი მსაჯულიო!''

გველი აქაც დაეთანხმა.
კვლავ წავიდენ სამართალზე
და რომ ცოტა გაიარეს,
წინ შემოხვდათ ვირი გზაზე
გლეხმა მუხლი მოიყარა,
ქუდი გადაიძრო თავზე
და გამართა საუბარი
ვირთან გველის საჩივარზე.
ვირმა უთხრა: ,,მიგდე ყური,
გეტყვი ცოტა რამესაო,
თუმცა ვიცი ეს ამბავი
გულს ვერ დაგიამებსაო
თავდადებით ვმსახურებდი
მე ჩემს პატრონს დღე და ღამო,
ზურგზე ტყავი გადამაგლჯა
უსაზომო შრომის გამო. .
სწორედ რომ ვსთქვა, იმ შრომასაც
არაფრათ არ ვაგდებდიო,
თავსაც-კი არ დავზოგავდი,
პატრონს თუ ვაამებდიო...
მარა დახე, როცა ძალა
დამელია, დავბერდიო,
კეტის ცემით გამომაგდო,
რას ვიზამდი. . გავშორდიო!
ვის უქნია კარგისათვის
კარგი, ჩემო ბიძიაო
და შენც შენ ბედს დამორჩილდი
რაკი ამ დღემ გიწიაო!''

მოისმინა გველმა რა ეს,
მოეწონა — გაეხარა,
წამოვიდა . მარა გლეხმა
კვლავად ქედი მოიხარა
და სრულ იმედ დაკარგულმა
უთხრა ,,ჩემო მეგობარო,
მიმხვდარი ვარ: თურმე შენთან,
დიდი დამნაშავე ვარო,
მარა რაკი ორჯერ ხათრი
გამიწიე—დამდევიო,
მესამედაც გევედრები—
სამართალზე წამყევიო!''

გველმა კიდევ შეიწყნარა
და წავიდენ; ნახეს მელა,
არ ჩქაროდა, დაღლილივით
მოდიოდა ნელა-ნელა.
გლეხმა უთხრა: ,,ჩემო კარგო,
ჭკუიანო მელიაო,
ასე არის ჩემი საქმე
ვიმედობ მიშველიაო !!.
გაუჯავრდა გლეხს მელია:—
,,რად ხარ ეგრე სულელიო!
შენ ტუტუცო გველისაგან
აბა რა კარგს მოელიო!!
რისთვის გინდა ეგ თოხი რომ
გაგიდვია მხარზედაო?
გადმოიღე, დაჰკა მედგრათ
და გასჭერი შუაზედაო!''
გლეხი უცებ გონს მოვიდა,
მოიმარჯვა თოხი ხელში
და მელიას რჩევისამებრ
გასჭრა გველი შუა წელში
მსაჯულს მადლი გადუხადა:
,,გმადლობ ჩემო მელიაო!
ვხედავ დიდათ დამავალე
და გადახდაც ძნელიაო,
მარა რითაც შემეძლება,
ჩემო კარგო ძამიაო,
ვეცდები, რომ მეც ჭირის დროს
შემოაგწირო თავიაო!''
მელამ უთხრა: ,,დაღლილი ვარ

დილას აქეთ ნარბენიო,
უკან მონადირე მომდევს,
აღარ ძალ მიძს ამდენიო,
ცოტა მოსვენება მინდა,
და თუ რომ დამეძინოსო—
ვინძლო ჩემი მადევარი,
სიდგანც იყოს, გამოჩნდესო,
მხოლოთ მაშინ მეგობარო,
ჩუმად წამკრავ თავზე ხელსო,
წამოვხტები, თავს უშველი,
რითაც პატივს შენ მცემ დღესო!“
— დაიძინე ჩემო კარგო,
დაგაცვები მცველათაო
და თუ ვინმე გამოჩნდება
გაგაღვიძებ ხელათა ა...
ვითომც დაიმედებული
მელა მიწვა... დაეძინა ..
გლეხმა მძინარს ზურგზე ხელი
გადაუსვა... გაეცინა ...
და სთქვა: „მშვენიერი ბეწვი
ჰქონებია მელიასო!
მოდი მოვკლავ, ტყავს გავაძრობ
და ამ ძვირფას სანახავსო...
სთქვა და თოხი გაუსწორა
დასარტყამათ მძინარს თავზე
და რო უნდა მოხვედროდა,
მელა უცებ გახტა განზე!..
იქიდან კი გლეხს დაცინვით
უთხრა: „ჩემო ნათლიაო,
გლახა მუდამ გლახურს იზამს,
ჰკუიანის ნათქმიაო!..
მეც ეს სიბრძნე დავისწავლე
და მით საქმეს ვშვრები სწორსო,
რომ შენფერებს ჭირში ვშველი,
მარა ნდობით ვდგევარ შორსო!!.
და აგრეთვე ვურჩევ ყველას
ჩემს ნათესავ მეგობრებსო,
რომ მიჰბაძონ ჩემს მაგალითს
და უფრთხოდენ სულელ მტრებსო!“

**ირაკლი.**

## დეპეშები.

**ლეჩხუმი:** სენატორი ვატაცის ამორების დროს ოთხი ათასიოდე დროებით ვალდებული გლეხი უგზო უკვალოდ დაიკარგა, მაგრამ ვატაცის წასვლის შემდეგ თავად-აზნაურობამ ისევ ნახა და შეწევნითა ღვთისათა „ჩაუნადელებს“ კიდეც ..

**ლაილაში:** სენატორ ვატაცისთან მოსალაპარაკებლათ ლაილაშლებმა შეუდარო „ორატორი“ ნიკო ჯანუაშვილი ამოირჩიეს. დეპუტატს ცოტა ნუნუა გადაეკრა (ალბათ ხოლერის შიშით) და „რეჩის“ ნაცვლათ ჩინებული „ოდელა დელია“ წამოიწყო...

**იქიდანვე:** საფოსტო განყოფილების უფროსი გვეტაძე ქეიფობას გადაჰყვა და გასაღებიც თან გაიყოლა. ჯერ ჯერეობით ნაწერები დაკეტილში ინახება.

**იქიდანვე:** ექიმი გრიგორაშვილი ბებია ქალს დონდუას აეშალა. თუმცა დამნაშავე ბატონი „მკურნალი“ ბრძანდება, მაგრამ შესარიგებლათ მაინც დონდუას ქალის მიერ ბოდიშის მოხდაა საჭირო.

**ჭრებალო:** დიდი ნადიმი გაიმართა თავად სამსონ გარდაფხაძის პატივსაცემლათ. „ურამ“ ბაზარი დააზიანა, ხოლო გიორგი გიორგობიანი მთლათ გახეთქა. ცეკვა იყო შამშე გელოვანის საფლავზე...

**იქიდანვე:** გარდაიცვალა სამკითხველოს პროექტი. მიცვალებული მამა გიორგი სოხაძემ აკურთხა, მაგრამ მაინც ვერ გაცოცხლდა...

**იქიდანვე:** აკურთხეს საფოსტო განყოფილება. თამადამ უწინ „ყაძახები“ ადღეგრძელა და ამას არეულობა მოჰყვა. ჯერ-ჯეროობით დაზარალდა ჯამჭურჭელი.

**იქიდანვე:** მოხდა დიდებული ნათლობა. მონათლეს ხოსია ჩაჩხუნაშვილის ვაჟი, რომელსაც სახელად „შიპკო“ უწოდეს...

**ლაილაში:** ჩინოვნიკობა წარმოდგენებს არ აკლდება. ბილეთის მაგიერობას კაკარდა ასრულებს.

**ნაცნობი.**

## ჟურნალ „მათრახ-სალამურის“

რედაქცია აცხადებს, რომ ჟურნალი 29 აგვისტოდან კვლავ გამოვა იმავ შინაარსით. რედაქცია ეცდება შემდეგში ჟურნალი თავ-თავის დროზე გამოვიდეს. იმ ხელის მომწერთ, რომელთაც მთელი წლის ფული გადახდილი აქვთ „კრებულის“ მაგიერ გაეგზავნებათ გიოტეს უკვდავი თხზულება „**ფაუსტი**“ თარგმანი პ. მირიანაშვილისა. იმ ხელის მომწერლებს, რომელსაც მთელი წლის ფული არ აქვთ შემოტანილი, ვთხოვთ შემოიტანონ. პრემია დაურიგდებათ წლიურ ხელის მომწერლებს 10 სექტემბრიდან.

ელექტრო-მბეჭდ ვი ამხ. «შრომა„ რუსის ქ. № 3.

რედაქტორ-გამომცემელი **ნ. ხ. სულხანიშვილი.**



დაწინაურებულ ადამიანთა საზოგადოებამ მოიგონა ზღვებზე ხომალდები და ხმელეთზე მატარებლები *).

*) ჩვენ, ქართველები, ზღვის პირად მივდივართ მხოლოდ მაშინ, როცა თავი გვაქვს დასახრჩობი და მატარებლებზე, როცა კისერი მოსატეხი.

ეშმაკი.



უკანასკნელი სიტყვა მოძრაობის განვითარებისა არის,—ფრენა *). რადგან მტაცებელ ცხოველთა დასჯა უფრო ადვილია, ვიდრე მტაცებელ ფრინველთა, ამისათვის აღარ დაზოგა ადამიანმა არავითარი საშუალება და კიდევაც აფრინდა ზეცად.

*) ქართველთა ბუნებას ძლიერ უყვარს აღმაფრენა, მ.გრამ ეს ხელმისაწვდომია მისთვის შემდგომად კარგი სადილისა და ისიც სიზმრად მყოფობაში, ანუ ოცნებითად.

ეშმაკი.


ტფილისი, გოლოვინის პროსპ. № 6, ტელეფონი № 481.
ხილეულის სამკურნალო წყალი
მ. ლაღიძის და ამხ.